ხელშეკრულება №ო/246

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი "22 ნოემბერი" 2016წ

ერთი მხრივ სსიპ ქ.თბილისის ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრი, წარმოდგენილი მისი სამხატვრო ხელმძღვანელის და დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბადრი მაისურაძის სახით, მისამართი: ქ. თბილისი რუსთაველის გამზ. №25 (შემდგომში "შემსყიდველი")

და მეორე მხრივ შპს „არტ ფლორ დიზაინი" მისი დირექტორის მარინე ბეთანელის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი") მისამართი: ქ. თბილისი ჭავჭავაძის №75)

ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ამავე კანონის მე-10[1] მუხლის მესამე პუნქტის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1.გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „საქონელი" – წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2.ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია 2016 წლის 22 ნოემბერს ბატონი გაიოზ ჟორდანიას სამოქალაქო პანაშვიდისათვის ყვავილების შესყიდვა; (გვირგვინი და გირლიანდა)
CPV 03121200

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრება ლარში.

3.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება გადასახადების ჩათვლით შეადგენს 2150.00 (ორი ათას ას ორმოცდაათი) ლარს. გვირგვინის ღირებულებაა 150.00 (ას ორმოცდაათი) ლარი, ხოლო გირლიანდის ღირებულებაა 2000.00 (ორი ათასი) ლარი;

3.3 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.4 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება

ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4.საქონლის მიწოდების ან/და მომსახურების გაწევის ადგილი

4.1 ქ.თბილისი რუსთაველის გამზ. №25

5.მხარეთა ვალდებულებები

5.1მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა ან/და საქონლის მიწოდება 22 ნოემბერს;

ბ) განიხილოს **შემსყიდველის** პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5.2შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

6.ხარისხი და გარანტია

6.1 მიწოდებული საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 ინსპექტირებას განახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქ.თბილისის ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ეკატერინე გელაშვილი;

8.საქონლის მიღება-ჩაბარების ან/და მომსახურების გაწევის წესი

8.1 საქონლის მიღება ან/და მომსახურების გაწევა წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ან/და ან სასაქონლო ზედნადების წარმოდგენის საფუძველზე; საქონლის მირებას აწარმოებს თეატრის საწყობის გამგე გიორგი გალუაშვილი;

9.ანგარიშსწორება

9.1 ანგარიშსწორება განხორციელდება საკუთარი შემოსავლებიდან შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო.

9.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს კონტრაქტით გათვალისწინებული საფასური მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან/ან სასაქონლო ზედნადების წარმოდგენიდან არაუგვიანეს 15 საბანკო დღისა.

9.3 თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

10.ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

10.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი

მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
10.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

11.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.
11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12.დავების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.
12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან **10 (ათი)** დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13.ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.2 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.
13.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისგან.

14.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ამ დოკუმენტის თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2016 წლის 30 დეკემბრამდე;

15.ფორს-მაჟორი

15.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.
15.2 ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით,

ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16 სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია სამი ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს და ერთი – შემსყიდველს.

17.მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი "
საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქ.თბილისის ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრი
მისამართი: რუსთაველის გამზ.№25
ს.კ. 203853954

„მიმწოდებელი"
შპს „არტ ფლორ დიზაინი"

ს.კ 204991606
ს.ს. თიბისი ბანკი
ბანკის კოდი TBCBGE22
ანგ№ GE64TB0800000001467104

სამხატვრო ხელმძღვანელი და დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ბადრი მაისურაძე

დირექტორი

მარინე ბეთანელი